

ଓରୁ ଗମ୍ଭେନ୍ଦୁ ଖୋଜନିଲାନ



ଏଫ୍ଯୁଅରଫ କ୍ରେଇଟ୍
ଓଲିଲିପିସଂପଦ
ଦାଲିଆନ ମନ୍ଦିର ଶ୍ରେଷ୍ଠାଳୀ

ଅନୁଷ୍ଠାନିକେ ଉତ୍ସବ ଶିଳ୍ପିମତ୍ତେ
www.a-library.org

Original English
language edition by

OXFORD
UNIVERSITY PRESS

ნიცშე: მორალის გენეალოგია

„ფილოსოფოსი საშიში ნაღმია, რომლისგანაც არავინაა დაცული“ - ჯერჯერობით ნიცშე მხოლოდ ამ ფრაზით ვახსენეთ. გერმანელი ფილოსოფოსი ფრიდრიხ ნიცშე (1844-1900) მიზნად არ ისახავდა მკითხველისთვის კომფორტული საკითხავის შეთავაზებას.

სწორედ ამიტომ მისმა თანამედროვეებმა თავი უბრალოდ მისი არწაკითხვით დაიცვეს. ნიცშეს გარდაცვალების შემდეგ კი ტალღა შემობრუნდა და მან მეოცე საუკუნის ნააზრევს უზარმაზარი პვალი დატყო, განსაკუთრებით კი - ევროპის კონტინენტზე.

„მორალის გენეალოგია“, რომელიც პირველად 1887 წელს დაიბეჭდა, წინასიტყვაობისა და სამი ესესგან შედგება, რომელიც უკეთ საკითხავად დანომრილ სექციებადაა დაყოფილი. ნუ გამოტოვებთ წინასიტყვაობას და განსაკუთრებით კი პირველ წინადადებას: „რამდენი რამ ვიცით დღეს სამყაროზე და რა ცოტა - საკუთარი თავის შესახებ“. ამ სიტყვებიდან ჩანდა, რომ ევროპულ აზროვნებას დიდი ცვლილებები ელოდა. გავრცელებული აზრის თანახმად, რაც უნდა ბუნდოვანი და გაუცხოებული ყოფილიყო რეალობა ჩვენთვის, იმის თქმა მაინც შეგვეძლო, რა ხდებოდა ჩვენს საკუთარ გონიერაში. მეცხრამეტე საუკუნეში ამ ტენდენციამ სწრაფად იწყო ძალის დაკარგვა. ამაზე მინიშნებას პირველად ისტორიის ჰეგელისეულ გაგებაში შევხვდით: ჩვენ ჩვენზე დიდი ძალა (Geist) გვამოძრავებს, მიუხედავად იმისა, რომ მის შესახებ არაფერი ვიცით. ნიცშეს ფეხდაფეხ მოპყვა ფსიქოანალიზის ფუძემდებელი ზიგმუნდ ფროიდი (1856-1939) და გაგვაცნო არაცნობიერი, რომელშიც ჩვენი სულიერი ცხოვრების მოტივები ჩვენგანვე იმაღება. საკუთარი თავის შეცნობისთვის მხოლოდ ინტროსპექტული მზერა საკმარისი აღარ იყო. ეს პროცესი მძიმე და მტკიცნეულ სამუშაოდ იქცა იმ გარანტიის გარეშე, რომ მოგვეწონებოდა, რასაც ჩვენს თავში ვიპოვიდით.

არ გამოგრჩეთ არც წინასიტყვაობის მე-3 ნაწილი. ხომ არ გეცნობათ? მე ის დეკარტის „მეთოდზე მსჯელობის“ პირველ ნაწილს მახსენებს. ჯერაც ახალგაზრდა მომავალი ფილოსოფოსი შეპყრობილია სკეპტიციზმითა და უნდობლობით იმ ინტელექტუალური რაციონისადმი, რომლითაც მას წინამორბედები კვებავ-დნენ. თუ დეკარტისთვის ეს უნივერსიტეტებში გაბატონებული საუნეოარისტოტელიზმი იყო, ნიცშეს აღშფოთებას მეცხრამეტე საუ-

კუნის ქრისტიანობის მორალური ღირებულებები იწვევს. ნუთუ ეს ღირებულებები ისეთი უმჭველია, როგორიც ყველას ჰგონია? დეარტს უნდოდა, იმ „ჭრიშარიტებებს“ ჩაღრმავებოდა, რომლებიც გას ახწავლეს. ნიცშე კი ფიქრობდა, რომ დრო იყო, გარკვეული შემთხვები დაესვა ღირებულებათა შესახებ. მისი მეთოდი ისტორიას, წარსულისა და, როგორც თვითონ უწოდებს, „გენეალოგიის“ გამკვდევას გულისხმობდა. საიდან მოვიდა ეს ღირებულებები და როგორ გავრცელდა ხალხში? რატომ ვიცავთ მათ დღემდე და რას ქმნიან ისინი იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მათ იცავენ?

ამ ეტაპზე ნიცშე ხშირად აწყდება კრიტიკა: რამდენად სწორია, ცნების ღირებულება მის ისტორიას დავუკავშიროთ? განა „რაიმეს“ ღირებულება მისი ამჟამინდელი მდგომარეობით არ უნდა განვსაზღვროთ? წარსული სულ სხვა საქმეა და თუ ნიცშემ ამოსავალ წერტილად არასწორი დებულება აირჩია, ამ მოკვდევის შედეგებიც სრულიად არაფრის მთქმელი იქნება. ნიცშე „გენეალოგიური მანის“ მსხვერპლი აღმოჩნდება (შეგიძლიათ, ეს სიტყვათშეთანხმება ფილოსოფიის უარგონის მზარდ ლექსიკონს დაუმატოთ).

სამართლიანია კი ეს კრიტიკა? მე ასე არ ვფიქრობ. არსებობს შემთხვევები, როცა ჩვენი შეხედულება რამის ღირებულებაზე მისი წარმოშობის შესახებ წარმოდგენას უკავშირდება და თუ ამ რწმენას საფუძველს გამოვაცლით, საგნის მიმართ დამოკიდებულებაც ეჭვებეშ დადგება. ცოტა ხნის წინ განვიხილეთ სწორედ ასეთი მაგალითი, რომელიც ნიცშესაც მიესადაგება - ვგულისხმობ დარვინიზმის ეფექტს კაცობრიობის თვითშეფასებაზე. დარვინის ეპოქაში სჯეროდათ, რომ ადამიანის არსებობა ღვთის გადაწყვეტილების შედეგი იყო, უმაღლესმა არსებამ ჩვენ თავის ხატად შეგვჭმნა. მის დაშვებამ, რომ ჩვენივე ქვემდგომი მაიმუნებისგან გავჩნდით და, რომ არა შემთხვევითობა, შეიძლება არც გვეარსება, ყველაზერი თავდაყირა დააყენა. ეს არ იყო უბრალოდ ახალმომხდარი ზექტი, რომელსაც მომავალში გავითვალისწინებდით (როგორც, შეგალითად, აქამდე უცნობი პლანეტის აღმოჩენა). ეს ადამიანური

ღირსებისა და ეგოიზმისთვის სახეში გაწნილი სილა იყო - სწორედ ამიტომ შეხვდა დარვინს ასეთი აშკარა წინააღმდეგობა და ამიტომ გვიწევს ევოლუციის თემაზე დღემდე საუბარი. ეჭვიც არ არსებობს: სათანადო პირობებში გენეალოგია ისეთი ფეოქებადი შეიძლება იყოს, როგორიც ის ნიცშეს წარმოედგინა - ახლა კი დაუუბრუნდეთ მორალურ ღირებულებებზე საუბარს.

ბევრს სწამდა და ახლაც სწამს, რომ მორალს ადამიანის მსგავ- სად ღვთაებრივი წარმომავლობა აქვს: ის კაცობრიობას პირდაპირ ღმერთმა გადასცა. ნიცშემ, მიუხედავად ოჯახის სასულიერო წარ- სულისა, ერთხელ საკუთარ თავს ინსტინქტურად ათეისტი უწოდა. მას არ აინტერესებდა ქრისტიანული ნარატივი: ის ადამიანური ღი- რებულებების საწყისს ადამიანის მოთხოვნილებებსა და ადამიანის ფსიქოლოგიაში ეძებდა („ადამიანი, მეტისმეტად ადამიანური“ - ეს იყო მისი ერთ-ერთი წიგნის სათაური)

ნიცშე არ იყო პირველი, ვინც საკითხს ამ კუთხიდან შეხედა, რასაც წინასიტყვაობის მე-4 პარაგრაფში ვიგებთ. უფრო სწორად კი, ნიცშემ აიღო უკვე არსებული ტრადიციის უმთავრესი თეზისი, რომელიც დაკონკრეტების გარეშე ამბობდა, რომ საზოგადოება ადამიანის იმ საქციელს ახალისებს, რომელიც მისთვის ხელსაყრე- ლია. საზოგადოების წევრები მას „კარგს“ უწოდებენ და აქტიურად უჭერენ მხარს, რის შედეგადაც ის დაუბრკოლებლად ვრცელდება. ხოლო რაც ხელსაყრელი არ არის, ცუდ საქციელად ინათლება. სწორედ ასე დაერქვა საკუთარ ინტერესებზე სხვის სასარგებლოდ მოგებიანი იყო.

ერთი შეხედვით, ამაში ცუდი არაფერია - საზოგადოება ხელს უწყობს იმას, რაც მისთვის სასარგებლოა, მაგრამ ნიცშესთვის ეს სენტიმენტალური, არაისტორიული ბოდვაა. ის ეყრდნობა ანტიუ- სენტიმენტალური, არაისტორიული ბოდვას (ბოლოს და ბოლოს, მას საოცრად რი ენების ექსპერტულ ცოდნას (ბოლოს და ბოლოს, მას საოცრად წარმატებული აკადემიური კარიერა ჰქონდა, რომელიც მიატოვა), წარმატებული აკადემიური კარიერა ჰქონდა, რომელიც მიატოვა), რომელიც სულ სხვა ისტორიას ჰყვება. სწორედ მათ, ვინც სხვების


სექტიანობის შედეგად სარგებელი ნახეს, უწოდეს ამ „სხვებს“ (და გთ საქციელს) „კარგი“, ხოლო მათგან რადიკალურად განსხვავდებოდნენ არისტოკრატია, დიდებულები, უძველესი საზოგადოებების ვართველები - ამ უკანასკნელებმა პირველად ისტორიაში საკუთარი თავი და ცხოვრების წესი თავად მონათლეს როგორც „კარგი“. მათ სპირისპიროდ კი არსებობდნენ ჩვეულებრივი ადამიანები, მონები, ძრითადი მოსახლეობა, რომლებიც ცუდებად შეირაცხნენ. აღრეული დიქოტომია კარგსა და ცუდს შორის ჩანს სიტყვებში „კეთილუბილი“ (მდიდრის სინონიმად) და „მდაბიო“ (ლარიბის სინონიმად), თავისუფალი და დამონებული, მეთაურები და მათი ქვეშევრდომები, დარბაისლები და გლახაკები. სათავეში მოქცეულები საკუთარ თავს, ძალას, ცხოვრების წესს დიდებული სიტყვებით აღწერდნენ და ხაზს უსვამდნენ იმ უფსკრულს, რომელიც მათსა და დაძაბუნებულ, სუსტ, მორჩილ მასებს შორის წარმოქმნილიყო.

გონივრულია, დავასკვნათ, რომ სწორედ მაღალი ფენის წარმომადგენლებმა შექმნეს ეს სიტყვები, რადგან ისინი ამ ცნებებით ფიქრობდნენ და აზროვნებდნენ (დღესაც შეგიძლიათ ასეთი საუბრის მოსმენა, თუ შესაბამის საზოგადოებაში მოხვდებით). თუმცა, ასეთ დამოკიდებულებას მალევე მოჰყვა ნაბიჯი, რომელმაც, ნიკებეს აზრით, მომავალი 2000 წლის განმავლობაში ევროპული მორალის ბედი გადაწყვიტა: ჭიაყელამ ხმა აიმაღლა, ბრბო ამხედრდა. არ გევონოთ, რომ მასებმა უხეშ მოპყრობას ძალადობრივი რევოლუციებით ან შეიარაღებული წინააღმდეგობით უპასუხეს. ნიკებები ფიქრობდა, რომ ქვედა კლასები ამისთვის მეტისმეტად სუსტები იყვნენ, როგორც მატერიალურად, ისე სულიერად. დაქვემდებარებულებმა იმედგაცრუება და უკმაყოფილება შეფარული შინაგანი პროცესტით, იმ მცირე გზებიდან ერთ-ერთით გამოხატეს, რომელიც ჰქონდათ. მათ საკუთარი ღირებულებათა სისტემა შექმნეს, რომელშიც ყველაფერს, რაც მათ მჩაგვრელებს ახასიათებდათ, „ცუდი“ დაარქვეს, თავიანთი ცხოვრება კი მათ ჩვეულებებთან დაპირისპირებაში „კარგად“ გამოაცხადეს.

ამგვარად, მორალი და ღირებულებათა სისტემა ადამიანისთვის ღმერთს არ უჩუქებია. ის არც ჩვენში განვითარებულა და არც ჭეშმარიტების ინტუიციური წვდომის შედეგად ჩამოყალიბებულა. ის შურისძიებით დამუხტული მექანიზმია, რომელიც სუსტის მიერ ძლიერისადმი საპასუხო ბრაზმა წარმოქმნა. მთელი ეს მიღრეკოლება ქველმოქმედებისკენ, თანაგრძნობისა და სიყვარულისკენ ნასაზრდოებია სიძულვილით.

ასეთი ტიპის აზრები ნიცვესთვის ტიპურად შეგვიძლია ჩავთვალოთ. მას ძალიან უყვარდა პოპულარული შეხედულებების თავდაყირა დაყენება. მაშინ, როცა იფიქრებდი, სახლში ყველაფერი რიგზეა, უცებ არსაიდან ჩნდებოდა ნიცვესეული „აფეთქება“ და მოულოდნელად ჭერი და იატაკი ერთმანეთს ადგილებს უცვლიდნენ. სწორედ ესაა ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი საკუთარი თავის იდეალური გამოვლინება. მათთვის, ვინც ხატების მსხვრევით ერთობა, ღირებულებების გადაფასება საქმიანობის სახალისო ნაწილია, თუმცა ფილოსოფიური ფოიერვერკების ყურებით სხვებსაც შეუძლიათ თავის შექცევა.

მხოლოდ ეს ფაქტები (ნიცვეს აზრით, ფაქტები) მორალის, სიკეთისა და თანაგრძნობის წარმოშობის შესახებ ნიცვეს ისეთ მძაფრ უნდობლობას ვერ გაუჩენდა, როგორსაც მის ტექსტებში ვაწყდებით. ბოლოს და ბოლოს, საბრძოლო ტექნიკის შემუშავებითა და გავრცელებით მასები ცდილობდნენ, ძლევამოსილთათვის ძალაუფლების ნაწილი მაინც წაერთმიათ. ეს მათი ერთადერთი იარაღი იყო. ნიცვეს ამის საწინააღმდეგო ვერაფერი ექნებოდა. მას სჯეროდა, რომ მთელი სიცოცხლე ძალაუფლების წყურვილის მანიფესტაციაა და არც ერთ პატარა მორალისტს არ შეუძლია, ეს უარყოს. მთავარი, რაც ნიცვეს „ცხვრის ფარის მორალში“ არ მოსწონს, ისაა, რომ მაღალი კლასის მორალისგან განსხვავებით, ის თავისთავად კი არ ამოიზარდა საკუთარი ცხოვრების წესის აღიარებისგან, არამედ სხვების ჩვეულებებთან დაპირისპირებით შეიქმნა. დაბალი ფენის წევრებმა ზიზლით შეისწავლეს ძლევამო-



14, აბა, რა ავაფეთქო შემდეგი? ნიცშე დიდებული ულვაშების ზემოდან თამამად გასცერის სამყაროს. ის ყოველთვის ისე გამოიყურება, გეგონება, ან ერთ პატრუქს წაუკიდებს ცეცხლს ან მეორესო.

სილი, თავისუფალი, ამაყი, თავდაჯერებული, გავლენიანი ადამიანები, რომლებიც ქვემდგომებს მართავდნენ და გადაწყვიტეს, მათი მახასიათებლები ცუდ თვისებებად გამოეცხადებინათ. საპირისპირო ნიშნები კი - პასიურობა, მორჩილება, თავმდაბლობა და გულუხვობა - დასაფასებელ ღირებულებებად აქციეს. ფარის მორალი სასიცოცხლო ძალებს ეწინააღმდეგება - ასეთია ნიცშეს დასკვნა.

ვინც ეს წინააღმდეგობრივი მორალი გაითავისა, ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. დაბალი ფენები ძალაუფლების წყურვილს მაინც გრძნობდნენ, თუმცა, მმართველი კლასისგან განსხვავებით, მის განხორციელებას ვერ ახერხებდნენ. მათმა ინსტინქტებმა

ალტერნატიული ძალაუფლების ძიების სურვილი აღძრა, ამის გამო კი თავიანთი ბატონებისთვის დამახასიათებელ ინსტინქტებს დაუპირისპირდნენ მაშინ, როდესაც რეალურად საკუთარ თავს აღუდგნენ წინ. ასე რომ, წუწუნსა და ჩაგვრას ფსიქოლოგიური ავადმყოფობაც დაემატა, რამაც ქვედა კლასი საბრალო მდგომა. რეობაში ჩააგდო.

ნიცშეს მიხედვით, სწორედ ამ დროს ჩნდება დახმარების ხელი (თუმცა, არც მთლად ასეა) - ყველა ეპოქისა და კულტურისთვის დამახასიათებელი ფიგურა, რომელიც ფილოსოფოსის ცხოველ ინტერესს იჰყობს: ასკეტი ბერი, რომელიც სიღარიბეს, თავმდაბლობას, სიწმინდესა და „ხორცის ტანჯვას“ საკუთარ თავზე მაღლა აყენებს. ეს ფიგურა, რომელიც სხეულისგან გაქცევის სურვილს ეხმიანება, სხვა სამყაროში ცხოვრობს და არსებულ რეალობაზე ხაზგასმით ამბობს უარს. ცხვრის ფარასავით, ისიც ავადაა, თუმცა რიგით ცხვრებზე ბევრად ძლიერია - სწორედ ამ ძალის გამო ახერხებს, ცხოვრების ეს რთული სტილი აირჩიოს და შეინარჩუნოს.

ასკეტ ბერს შინაგანი სიმტკიცე საშუალებას აძლევს, მართოს და დამოძლვროს შედარებით სუსტი სულები. ეს ძალაუფლება, ერთი მხრივ, მისტერიისა და ეზოთერული ცოდნისგან წარმოქმნება, მეორე მხრივ კი, იმ კრძალვისგან, რომელიც მის განცალკევებულ არსებობას სდევს თან. გარდა ამისა, პატივისცემას კიდევ ერთი მიზეზი აქვს: მოძლვარი საკუთარ მოწაფეებს ტანჯვას უმსუბუქებს. არ იფიქროთ, რომ ბერი მათ ტკივილისგან ათავისუფლებს - საკუთარი მიმდევრების მსგავსად, ისიც ავადაა, რადგან თავადაც ეწინააღმდეგება საკუთარ სურვილებს, ოლონდ ამას უფრო გაცხადებულად, მეტი თავგანწირვითა და გაზრებული მიზნებით აკეთებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ადამიანები იმის გამო იტანჯებიან, რომ საკუთარი თავი სასიცოცხლო ინსტინქტების წინააღმდებ განაწყვეს. როცა ტანჯვაზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანებს შეუძლიათ, უამრავი დრო დაუთმონ იმის დადგენას, რამ გამოიწვია მათი ეს მდგომარეობა, პასუხის ცოდ-

ნას კი შვების მოგვრა შეუძლია. არანაკლები შვება მოაქვს იმის გაგებასაც, რომ მათი ტკივილის მიღმა კონკრეტული დამნაშავე დგას - ეს ერთგვარი ანესთეზია, რომელიც ტკივილს ზემოდან გადმონთხეული ბრაზით აყუჩებს.

მოძღვარმა ეს ინსტინქტურად იცის და ამიტომაც საკუთარ სამწყსოს ტანჯვის აზრსაც უმხელს და მთავარი დამნაშავის სახელ-საც. ტანჯვას უამრავი გამართლება შეიძლება მოუძებნო: დაწყებული სამოთხეში მოხვედრის აუცილებლობით და დასრულებული სამართლიანობის აღდგენითა და დედამიწაზე ღვთის მეუფების დამყარებით. თუ განსაცდელი კიდევ უფრო გვაკეთილშობილებს, მაშინ ტანჯვა სულაც არ ყოფილა ამაო, მაგრამ ვისი ბრალია ეს მდგომარეობა? პასუხი: რა თქმა უნდა, ჩვენივე, ამ პასუხით მასების მდუღარე ზიზღი სცილდება მმართველებს, რომლებთან კონფლიქტიც „ცხვრებს“ კიდევ უფრო მეტ სირთულესა და ნაწილობრივ განადგურებას მოუტანდა და ისევ „ცხვრებს უბრუნდება“. საკუთარი თავისკენ მზერის მიპყრობას, მღვდლის ზედამხედველობის ქვეშ, რა თქმა უნდა, ძალისა და მოტივაციის მოცემა შეუძლია მეტი თვითდისციპლინისა და თვითგაუმჯობესებისათვის. ხალხიც მზადაა, ეს მოძღვრება ადვილად მიიღოს, რადგან ინსტინქტებზე უარის თქმით ისინი ერთხელ უკვე განეწყვნენ საკუთარი თავის წინააღმდეგ. მათ იციან, რაც უნდა ამოძირკვონ: ნებისმიერი ნიშანი თუ საქციელი, რომელიც ძლიერებს ახასიათებთ და გზა „უწყინარის“ იარღიყით განაგრძონ.

ასეთია ნიკუშეს ანალიზი. გვჯერა თუ არა მისი, უნდა ვალიაროთ, რომ ამ თეორიის ავტორს გამშეღაობა არ აკლია. ეს გენეალოგიის მხოლოდ ერთი ნაწილია, თუმცა აზრები სხვა ნაწყვეტებშიც ასევე შეულამაზებლადაა გადმოცემული. ნიკუშეს ნათქვამი მწარედ იკბინება და კარგი იქნება, თუ მას ყველა საკუთარ თავზე გამოცდის. ტექსტი სავსეა არაჩვეულებრივი დეტალებით, მაგალითისთვის გადაიკითხეთ რეალურ ფილოსოფოსთან შეხვედრა, მესამე ესეს ჟუ-7 ან პირველი ესეს მე-7-9 პარაგრაფები. თვლით, რომ ნიკუშე

ანტისემიტური ტონით წერს? თავიდან წაიკითხეთ და მიხედებით რომ ის სწორედ ანტისემიტიზმს უპირისპირდება. ნიცქე ამბობს რომ ებრაელების მორალური ისტორიის გარეშე ქრისტიანობის აღზევებისთვის ფსიქოლოგიური კლიმატი არ შეიქმნებოდა - იფი ირონიულ ყუმბარას სტყორცნის ქრისტიან ანტისემიტებს, რომელთა ანტისემიტიზმის საფუძველიც ისაა, რომ „ებრაელებმა ქრისტე ჯვარს აცვეს“. ამით კი, კიდევ ერთხელ ანადგურებს პოპულარულ აზრს და საკითხს თავდაყირა აყენებს: ქრისტიანებმა ებრაელები არ უნდა განსაჯონ, რაღაც სწორედ მათი დამსახურებითაა ქრისტიანობა ასეთი წარმატებული. აი, ამას ჰქვია ნამდვილი ფილოსოფიური ოსტატობა!

